პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 32 (13714) | სამშაბათი 7 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

სურათზე: ზუგდიდის რაიონის სოციალისტური შრომის გმირების ერთ-ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) თ. უუფუნია, შ. ბახტაძე, ა. ფარცვანია, ი. ჭურღულია, ქ. სარსანია, ვ. თორდია, მ. ბაკარანძე და ვ. ჭაბუა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ერთობა და თანხმობა ჩვენი ძალაა

6 თებერვალს დაიწყო მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც ეძღვნება რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებას.

წინასაარჩევნო კრებებზე გამოსულნი სიამაყით ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ წარმატებებზე, იმაზე, რომ მზად არიან კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება კვლავ ცხადყოფს კომუნისტური პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთობას.

მოსკოვი

საბჭოთა კავშირის ელექტრომექანიკის ჰიდროელექტროსადგურების ინსტიტუტის თანამშრომელთა კრებაზე გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პ. მ. პლატონოვი. მან წინადადება წამოაყენა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამ ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნიკოლოზ ვიქტორის-ძე პოდგორნი. კრებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ამ წინადადებას.

იმავე დღეს დედაქალაქის მშრომელებმა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ქარხანა „კალიბრის“ ამწყობი ზედამხედველი ალექსი მიხეილის-ძე კარპოვი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, კომბინატ „წითელი ვარდის“ მჭედელი ლიდია მათეს ასული რიბინა, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რექტორი ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ალექსანდრეს-ძე ნიკოლაევი.

* * *

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების წინასაარჩევნო კრებები 6 თებერვალს გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში. (საქდესი).

ღირსეულად შევხვდეთ საბჭოთა სახელმწიფოს იუბილეს

ზუგდიდის რაიონის მშრომელთა ვალდებულებანი

9 თვის შემდეგ ჩვენი დიადი სამშობლო, მთელი პროგრესული კაცობრიობა საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს. ისევე, როგორც ყველა მშრომელის მუშაობას, ჩვენს მუშაობას ახასიათებს შთაგონება, დიდი შემოქმედებითი აღმავლობა, პატრიოტული სიამაყის გრძნობა საბჭოთა ხალხის მოახლოებული ნათელი დღესასწაულის დღეებში. დიდი ოქტომბრის იუბილეს აღსანიშნავი ჩვენი შრომითი გამარჯვებების საწინდარია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, რომლებიც მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელეს. სახელმწიფომ ხელთ მოგვცა მძლავრი ეკონომიური ბერკეტები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს შესაძლებლობა მეურნეობა წარმართონ გეგმაზომიერად, ზუსტად და შეთანხმებულად. ახლა დარწმუნებული ვართ საკუთარ ძალებში და ყველაფერს ვიღონებთ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი, კიდევ უფრო დიდი განვითარებისათვის. მაგრამ წარმატებანი თავისთავად როდი მოდიან — წინ მოუვლის დიდი დაძაბული მუშაობა იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც სოფლის მშრომელთა წინაშეა დასახული პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმების გადაწყვეტილებებით.

დიდი აღტაცებით შევხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ. მთელ ძალასა და ენერგიას ვახმართ ხუთწლიანი გეგმის ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას, ახალი კიდევ უფრო დიდი აღმავლობით ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას იმისათვის, რომ თითოეულმა ჰექტარმა მიწამ, თითოეულმა მუშა-ხელმა იუბილეს ღირსი მოსავალი, გავაუმჯობესოთ ჩვენი სოფლების კეთილდღეობა.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აჯამებენ წინწაღმა წლის შედეგებს, ღრმად ანალიზებენ მეურნეობის საქმეთა მდგომარეობას, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ეკონომიკის შემდგომი განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. ჩვენი მიზანია არა მარტო გამუდმებით გასული სასოფლო-სამეურნეო წლის კარგი შედეგები, არამედ გადავაჭარბოთ კიდეც მათ. ეს შედეგები 1966 წელს კარგი იყო. მეჩაიეებმა გასული სეზონის შრომით გამარჯვებას მიაღწიეს. მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 29.220 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და სახელმწიფო დავალებას 115,6 პროცენტით შეასრულეს. ამ წარმატებას წინ უძღოდა მეჩაიეთა თავდადებული შრომა. წლიური გეგმისათვის ბრძოლაში დიდ-მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აგროწესების ზუსტი დაცვა ჩაის კრეფის დროს, აგროტექნიკური ღონისძიებათა მაღალი დონე, მოწინავე მეჩაიეთა — ორგზის შრომის სოციალისტური გმირის თამარ ყუფუნაის, სოციალისტური შრომის გმირების გუგუშა ჭითანავას, ვინარი სხულუხიასა და ათასობით მათ მიმდევართა მდიდარი გამოცდილება.

მეჩაიეებს არ ჩამორჩნენ არც მეაბრეშუმეები, მეცირტყესენები და მევენახეები. მათ პირნათლად შეასრულეს არა მარტო დამზადების გეგმები, არამედ გადიდებული ვალდებულებანიც. სახელმწიფოს მიეყიდა 292 ტონა აბრეშუმის პარკი, ბევრი მანდარინი და ყურძენი.

დიდი წარმატებებია მიღწეული აგრეთვე დაფნისა და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში. გადაჭარბებითაა შესრულებული სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები. ვამაყობთ მიღწეულით, მაგრამ არ ვჯერდებით მას. ახლა მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ თითოეულმა ჰექტარმა მიწამ, თითოეულმა დახარჯულმა მანეთმა მოგვცეს რაც შეიძლება დიდი ამოგება, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაბანდებული ხარჯები გადაიქცეს დამატებითი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაკადად.

გვახსოვს აგრეთვე, რომ მოწინავე სასოფლო-სამეურნეო არტელებთან ერთად ჯერ კიდევ არის ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო არტელებიც. ამიტომ გულდასმით ვსწავლობთ და ფართოდ ვავრცელებთ მოწინავე მეურნეობების, ბრიგადებისა და რგოლების გამოცდილებას. ძალღონეს არ დავიშურებთ, რათა 1967 წელს რაიონში არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი მეურნეობა.

ვალდებულებას ვკისრულობთ საიუბილეო წელს ჰექტარზე მოვკრიფოთ საშუალოდ 4.170 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და სახელმწიფოს ჩავაბაროთ 27 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, მათ შორის 70 პროცენტი პირველი ხარისხისა იქნება. ამედან 19.500 ტონა ფოთოლს კომკავშირელები და ახალგაზრდობა მოკრიფავს.

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ 2 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ჰექტარობრივი მოსავლიანობა 6.200 კილოგრამამდე გაზარდონ. კლიმენტი კოკალეიშვილის ბრიგადამ გადაწყვიტა მოკრიფონ 135 ტონა ფოთოლი, ბრიგადაზე გაპირიყენებული თითოეული ჰექტარი პლანტაციის მოსავლიანობა 10 ტონამდე გაზარდოს. არტელის წევრმა, სოციალისტური შრომის გმირმა ადელინა ფარცვანიამ ვალდებულება იკისრა 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს 10 ტონა ფოთოლი.

რესპუბლიკის მეჩაიეთა მრავალათასიანი გვარდიის ვეტერანის — ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნაის ბრიგადამ გადაწყვიტა 12 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფოს 9.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის კრეფის მაღალი ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე სოფლების კახათის, ინგირის, ჭკადუაშის, ოდიშის კოლმეურნეობებმა, ხეცერის, ზედა ეწერის, ნარაზენის საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მეურნეობებმა.

დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც მანქანა „საქართველო“ მიიღო ბევრმა ჩვენმა მეურნეობამ. ჩაის საკრეფი მანქანების მასობრივმა გამოყენებამ, პლანტაციებში შრომატევადი პროცესების სრულმა მექანიზაციამ ხელი შეუწყო ინგირის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა გამოცდილების გავრცელებას. საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა რესპუბლიკაში პირველმა განახორციელა სამუშაოთა სრული მექანიზაცია ჩაის პლანტაციებში. მანამდე რაიონში არავის არ მოუკრეფია იმდენი ჩაის ფოთოლი სეზონის განმავლობაში, რამდენიც შარშან საბჭოთა მეურნეობის კომპლექსური რგოლების ხელმძღვანელებმა მოკრიფეს „საქართველოს“ დახმარებით. ილია შუღაიამ, სერგი აფხაზავამ მოკრიფეს 123,6 და 114,6 ტონა ფოთოლი. **ხელს მათ გადაწყვიტებს მანქანებით ჩაის მოსავალი აიღონ 1.584 ჰექტარზე. ნაკისრია ვალდებულება ავჩიმთე გააშენონ 145 ჰექტარი ახალი ჩაის პლანტაციები.**

ინგირის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება აიღო გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 100 ტონა ჩაის ფოთოლი, სახელმწიფოს ჩააბაროს 2.500 ტონა ჩაის ნედლეული, აქედან 1.881 ტონა მანქანა „საქართველოთი“ მოკრიფოს. საბჭოთა მეურნეობაში ამ სეზონში ჩაის საკრეფი მანქანების მძღოლების კვალიფიკაციას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის 300-მდე მექანიზატორი.

ტემპს არ შეანელებენ მეაბრეშუმეებიც. ისინი ხუთწლედის მეორე წელს სახელმწიფოს ჩააბარებენ 288 ტონა აბრეშუმის პარკს.

წელს სერიოზულ ყურადღებას მივაქცევთ ბაღების მოსავლიანობის მდგომარეობას. უკეთ მოვუვლით დაფნას, ციტრუსებს. ხილის ნარგავებს, ვენახებს, ტუნგოს, სხვა მრავალწლიან კულტურებს.

მაქსიმალურად გამოვიყენებთ რეზერვებს, გავადიდებთ სიმინდის მარცვლისა და საკვები კულტურების მოსავლიანობას. **ვალდებულებას ვკისრულობთ 4.700 ჰექტარის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მოვიწიოთ 25 ცენტნერი მარცვალი.** ყოველწლიურად ავამაღლებთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, შევამცირებთ მათ თვითღირებულებას.

მწყობრში ჩადგება ხუთი მექანიზებული ფერმა და ამრიგად ასეთი ფერმები რაიონში ოცდაერთი გვექნება.

წელს ვაწარმოებთ 543 ტონა ხორცს, 2.501 ტონა რძეს, 1.120 ათას ცალ კვერცხს.

მომდინარე წელს ავითვისებთ 450 ჰექტარ ამოშრობილ მიწებს, რომლებზეც გავაშენებთ ჩაის, დაფნის, ციტრუსების პლანტაციებს, დათესავთ სიმინდს და სხვა კულტურებს. წარმოების დიდი რეზერვია ჩაის პლანტაციების ხელოვნური დაჩვიმება. რუხის, კახათის, ინგირის, ცაიშისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობების 1.408 ჰექტარი ჩაის პლანტაციების დაჩვიმებით მკვეთრად ავამაღლებთ ჩაის მოსავლიანობას.

ყოველწლიურად სულ უფრო მდიდარი ხდება ჩვენი სოფელი, საინტერესო და მრავალფეროვანი — სოფლის მშრომელთა ცხოვრება. ეკონომიურად მომაგრებულ მეურნეობებს უნარი შესწევთ გაადიდონ სახსრები მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავი გვავალდებულებს დიდი სამუშაოები შევასრულოთ ამ მიმართულებით.

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ წევრებმა გადაწყვიტეს ააშენონ და სადღესასწაულოდ გახსნან კულტურის სახლი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 600 კაცს დაიტევს. აქვე გადაწყვეტილი გვაქვს ხუთ ჰექტარზე გავაშენოთ ოქტომბრის სახელობის ტყე-პარკი, დავდგათ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი. ღირსეულად აღვნიშნავთ აგრეთვე დიდი სამამულო ომის წლებში ბრძოლის ველზე დაღუპულ თანასოფლელთა ხსოვნას.

სოფლად დაიდგმება კაპიტალური სტენდები, რომლებზეც გამოკიდებული იქნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა, შრომის ვეტერანთა და ხუთწლედის გმირთა პორტრეტები.

სოფელ რუხში აშენდება ახალი შენობები — სამართლიანი საშუალო სკოლა, ბანო. საბავშვო ბაღი და ბაღი იქნება ყოველ ბრიგადაში. წარმოებს სოფლის ქუჩების კეთილმოწყობა. კოლმეურნეთა 200 სახლში დაიდგმება ტელეფონები. საინტერესო ექსკურსიებს მოაწყობენ კოლმეურნენი რევოლუციის აკვანში — ლენინგრადში და ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

დაწვრილებითი გეგმები შეიმუშავეს სხვა მეურნეობებშიც.

რაიონში საიუბილეო დღეებისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა პიონერთა დ მოსწავლეთა სახლი, კულტურის სახლი, ბიგიენის სახლი, უნივერმალის სამსართულიანი შენობა, 160 ადგილიანი ოთხსართულიანი სასტუმრო, 48 ბინიანი სახლი. გაიხსნება სოფლის ორი კლუბი, ორი საბავშვო ბაღი, ხუთი საშუალო სკოლა, ცხრა ბიბლიოთეკა, რვა ამბული. სოფლებში ინგირში, ორჯონიკიძეში, ნარაზენში, დარჩელში აშენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები. სოფელ ცაიშს დაამშვენებს 36 ბინიანი სახლი და სასტუმრო. წლის დამლევამდე რაიონში მთლიანად დამთავრდება სოფლების რადიოფიკაცია, 18 კილომეტრი სიგრძის სასოფლო გზების კეთილმოწყობა.

სადღესასწაულო სარჩულის მიიღებს სოფლის ახალგაზრდობა. სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოში“ მთლიანად ჩადება მწყობრში სპორტული ნაგებობათა კომპლექსი — სპორტული სკოლა, რომელსაც ექნება ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები. აქვე შენდება იპოდრომი. რაიონულ ცენტრში ამოქმედდება 25 მეტრი სიგრძის საცურაო აუზი და საკოლმეურნეთაშორისო იპოდრომი. ყველა სოფლის სკოლაში გაიხსნება სპორტული მოედნები.

იმ დღეებში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის იუბილესათვის, მადლობით ვიხსენებთ იმათ, ვინც იბრძოდა და სიცოცხლე შესწირა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებას. სოფელ ცაიშში აღიმართება ობელისკი XI წითელი არმიის გმირი მებრძოლების პატივსაცემად. რომელნიც დაიღუპნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. მემორიალური დაფა, რომელიც ზუგდიდის მუსიკალური სკოლის შენობის ფასადს შეამკობს, მოგვაგონებს იმ დღეებს, როცა რაიონში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. დიდგმება ზუგდიდის რეკლამის პირველი თოჯმჯდომარის გრიგოლ როგავას და 1905 წლიდან ბოლშევიკური პარტიის წევრის ფარნა სართანიას ბიუსტები.

დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად კომკავშირელები და ახალგაზრდობა გააშენებენ შვიდ ჰექტარ ტყე-პარკს კურორტ ანაკლიას ტერიტორიაზე, ბევრ სოფელში გაშენდება ხეივნები, რომლებსაც რევოლუციის ვეტერანთა სახელები მიეკუთვნება. წაიკითხავენ მოხსენებებს, ლექციებს, გაიმართება საუბრები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ, მოეწყობა მშრომელთა შეხვედრები რევოლუციის ვეტერანებთან ვლადიმერ ზაქარაიასთან, ევგენი უბირიასთან, ოლღა ჩიჩუასთან, მაყარ ლაშხიასთან და სხვებთან.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში დავეხმარებით პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ეს ვალდებულებანი ვიცისრეთ სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა პატრიოტული თაოსნობის პასუხად. დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას სახელოვანი იუბილეს — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გააჩაღებენ სხვა რაიონების მეურნეებიც. ყველაფერს ვიღონებთ, რომ მიწა გავახაროთ უფრო ნაყოფიერი, სამყოფლად კი მივიღოთ სულ უფრო მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტები.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია ზუგდიდის რაიონის მოწინავეთა თათბირზე.

ა. ნ. კოსიგინი ლონდონში ჩავიდა

6 თებერვალს მოსკოვიდან ლონდონში ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. საბჭოთა მთავრობის მეთაური დიდ ბრიტანეთში წვიდა პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ ვილსონის მიწვევით და ინგლისის მთავრობის სტუმარი იქნება.

სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინი გააცილეს პ. ტ. მაზუროვმა, დ. ს. პოლიანსკიმ, ი. ვ. კაბიტონოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საქდესი).

ლონდონი, 6 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ლონდონში ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. საბჭოთა მთავრობის მეთაური დიდ ბრიტანეთში ერთ კვირას იქნება პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ ვილსონის მოწვევით, როგორც ინგლისის მთავრობის სტუმარი.

ა. ნ. კოსიგინთან ერთად ლონდონში ჩამოვიდნენ სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ე. ჭავახიშვილი, ეს-ტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ი. კლაუსონი და სხვა საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწენი.

პიტეროუს აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს შეხვდნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ ვილსონი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯორჯ ბრაუნი და სხვა ოფიციალური პირნი.

ჰ. ვილსონმა და ა. ნ. კოსიგინმა წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები.

ა. ნ. კოსიგინი და ჰაროლდ ვილსონი სხდებიან ავტომობილში. მანქანების კორტეჟი მიემართება საბჭოთა მთავრობის მთაურისათვის გამოყოფილ რეზიდენციაში — ლონდონის ოტელ „კლერიჯესში“.

ლონდონის მცხოვრებლები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება

1967 წლის 6 თებერვალს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საქმო დარბაზში გაიმართა საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება.

კრების პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

კრება გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჩერქეზიამ.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმის შედეგების შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი გ. გაბუნია, გორის საბრძოლის კომბინატის მჭედელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ჩერქეზიშვილი, კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინტბა, კომკავშირის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. სანაკოევი, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზიანუბნის კოლმეურნეობის მევენახეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ს. მახარობლიშვილი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ბ. მახარაძე, ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორი ხ. ბერულავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ფოფხაძე, კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. იმედაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ო. ჩერქეზია.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას. (საქდესი).

სსრ კავშირში ჩამოვა ეთიოპიის იმპერატორი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1967 წლის 27 თებერვალს სსრ კავშირში ვიზიტით ჩამოვა ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე I.

ორივე მხარე იმედოვნებს, რომ ეს ვიზიტი ახალი დიდებინებელოვანი წელი იქნება სსრ კავშირისა და ეთიოპიის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებისა და განმტკიცებაში.

მოგზაურობენ, მეგობრობენ!

სახელოვანი იუბილე

6 თებერვალს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზში მაყურებლებით იყო გაჭედილი. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ ოცი წლის იუბილე მიელოცათ საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლისათვის, რომლის უცვლელი ხელმძღვანელი არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტები **ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.**

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ო. თაქთაქიშვილმა.**

მოხსენება ანსამბლის სახელოვანი შემოქმედებითი გზის შესახებ გააკეთა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **პ. ხუჭუამ.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. კვაჭაძემ** წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ანსამბლის დაჯილდოების შესახებ. მსახიობთა ჯგუფს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა და დამსახურებული არტისტის წოდება, სოლისტთა ჯგუფი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ანსამბლის კოლექტივს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები **ვ. გოძიაშვილი, პ. ამირანაშვილი, ა. ვასაძე, ს. დოლიძე,** საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი **ო. გორდელი,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **დ. გამეზარდაშვილი** და სხვები.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა **ი. სუხიშვილმა,** რომელმაც მადლობა უძღვნა შეკრებილთ ასეთი გულთბილი საღამოსათვის და ილაპარაკა კოლექტივის შემოქმედებითს გეგმებზე.

საღამოს დასასრულს საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულმა ანსამბლმა გაიმართა კონცერტი.

საღამოზე იყვნენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭაბუკიანი, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ო. ე. ჩერქეზია.** (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1967 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

1. ლორთქიფანიძეს ნინო ვლადიმერის ასულს — ანსამბლის სოლისტს.
2. მხეიძეს მარინა ალექსანდრეს ასულს — ანსამბლის სოლისტს.
3. ყუფარაძეს ვლადიმერ ივასონის-ძეს — ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

1. კალანდაძეს ვალერიან ემელიანეს-ძეს — რეჟისორს.
2. სურვილაძეს გიორგი (გიგი) იოსების-ძეს — რეპეტიტორ-ბალეტმეისტერს.
8. შენგელიას გიორგი შალვას-ძეს — ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. ბიბილურს შოთა ილიას-ძეს — ორკესტრის მსახიობს.
2. გიორგაძეს ნოდარ პეტრეს-ძეს — ანსამბლის სოლისტს.
3. დოლაბერიძეს იამზე ვლადიმერის ასულს — ანსამბლის სოლისტს.
4. დუმბაძეს ლეილა მიხეილის ასულს — ანსამბლის მსახიობს.
5. კიკალიშვილს თამაზ ოლიფანტეს-ძეს — ანსამბლის სოლისტს.
6. სულაბერიძეს ფრიდონ სალიბასტროს-ძეს — ანსამბლის სოლისტს.
7. უთმელიძეს თენგიზ ვარლამის-ძეს — ანსამბლის სოლისტს.
9. ხოფერიას შოთა ბავრატის-ძეს — ანსამბლის სოლისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1967 წლის 6 თებერვალი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აბაზაძე მანანა ლევანის ასული — მსახიობი.
2. აბრამიშვილი ლიანა შალვას ასული — მსახიობი.
3. ასლანიშვილი ანზორ სერგოს-ძე — ორკესტრის მსახიობი.
4. ბახილაშვილი ზაირა გიორგის ასული — მსახიობი.
5. ბერაძე ჯუმბერ ვიქტორის-ძე — მსახიობი.
6. გოგაური შოთა იოსების-ძე — მსახიობი.
7. თევზაძე ინგა ბორისის ასული — მსახიობი.
8. თავუტაური ბახშო აკოფის-ძე — ორკესტრის მსახიობი.
9. იაშვილი როსტომ მიხეილის-ძე — მსახიობი.
10. იაშვილი სოფიო გიორგის ასული — მსახიობი.
11. კვანტარაძე ნანა დავითის ასული — მსახიობი.
12. კირვალიძე ნინო მიხეილის ასული — მსახიობი.
13. მერაბოვა ნინო ჩამილის ასული — გარდერობის გამგე.
14. მეტრეველი ილია ლევანის-ძე — ორკესტრის მსახიობი.
15. მინდიაშვილი თენგიზ ნიკოლოზის-ძე — მსახიობი.
16. ნიკოლეიშვილი ანზორ სერგოს-ძე — მსახიობი.
17. ნიჟარაძე გულდამი ვასილის ასული — მსახიობი.
18. რამიშვილი ნინო შალვას ასული — ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.
19. სუხიშვილი ილია ილიას-ძე — ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ДИРსᲔᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲕᲮᲕᲓᲔᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐ საქართველოს კოოპერატორთა აქტივის კრება, რომელიც გახსნა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ნ. ჯავახიძემ.**

მოხსენება — „1966 წლის მუშაობის შედეგების, 1967 წლის ამოცანებისა და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ" — გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვ. ყურაშვილმა.**

კრებაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის რაიონებსა და სოფლებში მკვეთრად გაუმჯობესდა სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება. გაიზარდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 3 რაიონთაერთაშორისო, 30 სოფლის უნივერსალური მაღაზია, 75 სოფლის მაღაზია-დუქანი, პავილიონი და სხვა წვრილი სავაჭრო ობიექტები. სულ მწყობრში ჩადგა 108 ობიექტი. გაფართოვდა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი. აშენდა 3 რესტორანი, 40 სასადილო და სასაუზმე. კოოპერატორებმა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო 150 საველე სასადილო, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა მინდვრის მშრომელთა მომსახურება.

სოფელს საუცხოო მომსახურება

საავაჭრო ქსელის გაფართოებამ ხელი შეუწყო სქელობრუნვის 1966 წლის გეგმების შესრულებას. საქონელბრუნვის 1966 წლის გეგმა ცეკავშირის სისტემამ გადაჭარბებით შეასრულა. საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით, საზოგადოებრივი კვებისა — 100,1 პროცენტით და სოფლის მეურნეობის ნაბატი პროდუქტებისა — 101,7 პროცენტით.

შარშან წინა წლებთან შედარებით სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 44,2 მილიონი მანეთით მეტი სასურსათო და სამრეწველო საქონელი, რის შედეგადაც გაიზარდა კოოპერაციის ხვედრითი წონა რესპუბლიკის საერთო საქონელბრუნვაში.

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული მნიშვნელოვანი მუშაობა ცეკავშირის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის განმტკიცებისათვის. მეპაიენი უფრო აქტიურად მონაწილეობენ კოოპერაციის სამეურნეო საქმიანობაში, გაიზარდა კოოპერაციულ სამრეწველო საწარმოთა რიცხვი. გაფართოვდა და გაუმჯობესდა მათი პროდუქციის ასორტიმენტი და ხარისხი. გარკვეული ღონისძიებანი განხორციელდა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისა და წარმოების მექანიზაციის დონეში.

შედეგებია შედეგებია მიღწეული კადრების მომზადების, კოოპერაციაში ახალგაზრდობისა და ქალების ჩაბმის საქმეში. შემცირდა კადრების დენადობაც, გაიზარდა ვაჭრობის მოზიხავეთა ხარისხი.

მიუხედავად წარმატებისა, ითქვა კრებაზე, ჯერ კიდევ სრულად როდი კმაყოფილდება მშრომელთა მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე.

კოოპვაჭრობის სისტემაში დიდი მუშაობა წარმოებს საავაჭრო მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის, ფასების დამახინჯების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფასდარღვევებს. და ეს ხდება იქ, სადაც კოოპორგანიზაციის ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ სერიოზულ უბანს.

ვაჭრობაში რიგ ადმოცფხვრად ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კადრების კარგად შერჩევას და მათს სწორ დაკომპლექტებას.

ღირსეულად შეეხვედრა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, გავაუმჯობესოთ სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი. სწორედ ამ საკითხებზე ილაპარაკეს კრების მონაწილეებმა ნ. კობაზიამ, ჯ. ცივაძემ, პ. ხარებოვმა, ი. ალავერდაშვილმა, ლ. ობიბემ, გ. ვალიევმა და სხვებმა.

საიუბილეო წელს დიდი ვალდებულებები იკისრეს კოოპერატორებმა და ერთსულოვნად გადაწყვიტეს:

საცალო საქონელბრუნვის 1967 წლის 10 თვის გეგმა შეასრულონ 15 ოქტომბრისათვის, ხოლო წლიური გეგმა — 25 დეკემბრისათვის;

ფართოდ დანერგონ და გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, გახსნან თვითმომსახურების 80 მაღაზია, ღია გამოფენით მოვაჭრე 170 მაღაზია და რთული ასორტიმენტის საქონლის დაკვეთით ვაჭრობა მოაწყონ 140 მაღაზიაში, გააფართოონ სეზონური ბაზრობა, განავითარონ ქსელში დატარებითი ვაჭრობა, გააფართოონ ნისიად ვაჭრობა და საქონელბრუნვაში მისი ხვედრითი წონა აიყვანონ 6-7 პროცენტამდე.

საქონელბრუნვაში საკუთარი კულინარული ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატებით ვაჭრობის ხვედრითი წონა აიყვანონ 5 პროცენტამდე;

მინდვრად და პლანტაციებში დატარებითი ვაჭრობით მოემსახურონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1.200 ბრიგადას და ამ მეთოდით გაყიდონ 5 მილიონი კერძი და ერთი მილიონ 100 ათასი მანეთის სასურსათო საქონელი;

წვიწის რეალიზაციის 1967 წლის 10 თვის გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის;

ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ გულრიფშის, ხულის, წალენჯიხისა და გეგეჭკორის წიგნის კეთილმოწყობილი მაღაზიები;

პურის ცხობის 1967 წლის 10 თვის გეგმა შეასრულონ გადაჭარბებით. გააფართოონ პურ-ფუნთუშეულის ასორტიმენტი, მკვეთრად გააუმჯობესონ მისი ხარისხი;

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადების 1967 წლის 10 თვის გეგმა შეასრულონ 105,5 პროცენტით, აქედან დაფნის ფოთლის შესყიდვის გეგმა — 105 პროცენტით, ტყავნედლეულისა—102,5 პროცენტით, ფერადი და შავი ლითონების დამზადების გეგმა — 120 პროცენტით, წლის ბოლომდე გეგმის ზეგით დაამზადონ 3 მილიონი ცალი კვერცხი, 100 ტონა მატყლი და 5 ათასი მანეთის ქურქბეწვეული, ააშენონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 31 საკომისიო მაღაზია, დაამზადების 5 პუნქტი, კარტოფილისა და ბოსტნეულის 5 საწყობი;

კოოპერაციული მრეწველობის 1967 წლის 10 თვის გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით, ხოლო წლიური — გეგმა 25 დეკემბრისათვის.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1967 წლის გეგმა შეასრულონ გადაჭარბებით და სატექსპლოატაციოდ გადასცენ 250-ზე მეტი ობიექტი;

გააფართოონ მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა და 1967 წელს მოსახლეობის კოოპერაციის რიგებში ჩაბმის დავალება შეასრულონ 104 პროცენტით;

ავტოსატრანსპორტო ტვირთბრუნვით 1967 წლის 10 თვის გეგმა შეასრულონ 103 პროცენტით, ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტი აიყვანონ 72 პროცენტამდე;

ფულადი სახსრების მომკრეხებით ბარჯვის გზით 1967 წელს მიაღწიონ ეკონომიას: ვაჭრობაში — 242 ათასი მანეთის, საზოგადოებრივ კვებაში — 50 ათასი მანეთის და დამზადებაში — 68 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო მოგების გეგმას გადააჭარბონ 800 ათასი მანეთით. აქედან: ვაჭრობაში 150 ათასი მანეთით, დამზადებაში — 200 ათასი მანეთით, საზოგადოებრივ კვებაში — 50 ათასი მანეთით და წარმოებაში — 400 ათასი მანეთით;

კოოპერაციულ სასწავლებლებში და ორგანიზაციებში მოამზადონ და კვალიფიკაცია აუმაღლონ შვიდი ათას სხვადასხვა პროფესიის მუშაკს. ყველა კოოპორგანიზაცია განმაკუთვნებით კადრებით, ვაჭრობაში გაზარდონ ქალთა სპეციალობა და მათი რიცხვი აიყვანონ 39 პროცენტამდე, ხოლო მატერიალურად პასუხისგებაზე თანამდებობაზე მოიმუშავე ქალთა რიცხვი გაზარდონ 32 პროცენტამდე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცონ ახალგაზრდა სპეციალისტების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. მსხვილ კოოპორგანიზაციებში მოაწყონ მოწინავე გამოცდილების სკოლა. ყველაფერი გააკეთონ, რათა ვაჭრობის მუშაკებს გამოეშუშოთ თავისი პროფესიისადმი სიყვარული და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა;

ფართოდ დანერგონ და გაავრცელონ მოწინავე ორგანიზაციებისა და მუშაკების გამოცდილება, თვდადებით იბრძოლონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ამაღლებისა და კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და კომუნისტური შრომის დამკვრელების რიგების შემდგომი ზრდისათვის.

კრების მონაწილეები, რომლებიც ისწრაფვიან კიდევ უფრო გააუმჯობესონ სოფლის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურება, მოუწოდებენ კოოპერაციული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, დამზადების, საწარმოებისა და ტრანსპორტის მუშაკებს კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი იმისათვის, რომ საიუბილეო წელს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი წარმატებით გაანღორონ.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საგაგმო-საფინანსო განყოფილების გამგემ დ. მამულაძემ.

ᲞᲝᲡᲐᲕᲚᲘ, ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ, ᲒᲐᲠᲔᲪᲮᲘ

ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ

ცნობილია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის (1965 წ.) მარტის პლენუმის დადგენილებით შეცვლილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემა. ამასთან დაკავშირებით ახლებურად დგას საკითხი ნედლეულის შენახვის, დანაკარგების შემცირების, ხარი ბუნებრივი თვისებების შენარჩუნებისა და მთელ რიგ შემთხვევაში ზოგიერთი ნედლეულის და პროდუქტების მათი წარმოების ადგილზე პირველადი გადამუშავების მოწყობის შესახებ.

ამ გარემოებას განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენს პირობებში, რადგანაც ბოსტნეულის და პროდუქტების შენახვის გარეგანი პირობები (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა და სხვ.) საკმაოდ განსხვავებულია ჩრდილოეთის რაიონების სათანადო მაჩვენებლებისაგან.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის შენახვისა და პირველადი გადამუშავების სწორ ორგანიზაციას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში. იგი არის და მომავალში უფრო მეტად უნდა გახდეს მოსახლეობის ბრძოლეული პროდუქტებით მომარაგების ერთ-ერთი რგოლი.

ზოგ მეურნეობაში დანაკარგები მოსავლის აღების, შენახვისა და პირველადი გადამუშავების დროს არა თუ არ შემცირებულა, არამედ კიდევაც გაიზარდა. დანაკარგების დიდი უმრავლესობა წარმოადგენს ბიოლოგიური ხასიათის დანაკარგებს და მათ ადგილი აქვთ როგორც მოსავლის აღების, ისე ტრანსპორტირების, შენახვისა და პირველადი გადამუშავების დროს მერე. მხრივ ადგილი აქვს არა მარტო წონითი დანაკარგებს, არამედ უარესდება მოსავლის და პროდუქტების ხარისხობრივი მაჩვენებლები. მცირდება შენახვისუნარიანობა, მწრალ ნივთიერებათა შემცველობა, სასარგებლო ნივთიერებათა გამოსაღიანობა საერთო მასიდან, უარესდება საგემოვნო თვისებები, უფუნდება ნაყოფი, ირღვევა სტანდარტის ითხოვნები და სხვ.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარკვეულ გავლენას ახდენს როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალზე, ისე სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და პროდუქტის გადამმუშავებელი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე.

მთელ რიგ შემთხვევებში ეს გარემოება იმით არის გამოწვეული, რომ ზოგან საოფლო-სამეურნეო ნედლეულს არ უყურებენ როგორც ცოცხალ ორგანიზმს, გადაჰკონ ისინი შეუფერებელი ტარით და მოუფრთხილებლად ტრანსპორტით, არ იცავენ სათანადო სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს მათი აღების, შენახვისა და გადამუშავების დროს.

ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, მარცვლისა და სხვა საოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტის ზოგიერთ საცავში არ იცავენ შენახვის ოპტიმალურ პირობებს, საცავებიც მომაღლური პერსონალის გარეშე ხშირად არც ტექნიკური და არც აგრონომიული მხრივაა მომზადებული. ამასთანავე ნედლეულისა და პროდუქტების მოყვანის საქმეში უმეტესად მონაწილე სოციალისტური შეჯიბრება ხშირად ფორმალური ხასიათისაა და ხშირად არ ემსახურება ნედლეულის და პროდუქტების მოყვანის საქმეში უმეტესად მონაწილე სოციალისტური შეჯიბრების ამოცანებს.

ნივთიერებანი, რომლებსაც ფუნგიტოქსიკური (ე. ი. სოკოებისათვის საწიაღო) მოქმედების უნარი აქვთ, შეიძლება წარმოიშვან ბეცნარის ჭსოვილში მისი მექანიკური დაზიანების შედეგადაც. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც ქსოვილი დაავადებულია ე. წ. ჭრილობის პარაზიტების მიერ, რომლებიც, როგორც ცნობილია, იჭრებიან მხოლოდ მექანიკურად დაზიანებულ ქსოვილში.

ბამრავლებულია, რომ მექანიკური ბაკაზვნრის შედეგად დაზიანებული კარტოფილის ბამოფთების შეიძლება, თუ კარტოფილსაცავებში შეინარჩუნებთ ე. წ. „მკურნალობის" პერიოდში 15-20 გრადუს ტემპერატურას და მაღალ შარლოფის ტენიანობას ძანგებადის თავისუფლად შესვლის პირობებში.

მიუხედავად ამისა, შეტ წილ კარტოფილსაცავებში შემთხვევნიწვნეული პირობების დაცვა შემთხვევაშიც კი ჭრილობა ხორცდება და ტუბერზე პერიდერმის წარმოქმნა მიმდინარეობა ძალიან ცუდად, რაც იწვევს დიდ დანაკარგებს.

თანამედროვე კარტოფილსაცავებში, სადაც კარტოფილი დაყრილია ორი და მეტი მეტრის სიმაღლეზე, საჭიროა კრიტიკულობით შეფასებულ იქნას რაც შეიძლება მეტი ქანებები. ეს კი შესაძლებელია ე. წ. აქტიური ვენტილაციის საშუალებით.

გამოკვეულია, რომ ნუკლეინის მჟავის დაგროვება ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მცენარის სათანადო ნაწილების გადაყვლისა მოსავლიანობის მდგომარეობიდან გადავებისა მიდგომარეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გორჭლისა და ბოლქვიან ზრდის წერტილებში. რომლებიც გამოდიან მოსავლების სტადიიდან, იზრდება აგრეთვე რიბონუკლეინის და დეზოქსირიბონუკლეინის მჟავები. ნუკლეინის მჟავის სინთეზის ინტენსიობის რეგულირების ინსტრუქციით შეიძლებელი ხდება გადავიდნის პროცესის დაჩქარება ან შეფერხება-შეჩერება.

კარგი შედეგები მოგვცა რადიოაქტიური კობალტისა და იონური რადიაციის გამოყენებამ კარტოფილის მოვლი წლის განმავლობაში გაუღივებლად შენახვისათვის.

უკანასკნელ ხანს სერიოზული და საინტერესო მუშაობა წარმოებს ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებათა გამოსაყენებლად, რათა თავიდან აცილებულ იქნას კარტოფილისა და ბოსტნეულის გაღივება. ფიზიოლოგიურად აქტიური აცეთი პრეპარატების რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, პრეპარატი „M-1", რომელიც ფტივიოლიტერ დუტს ეარმოადგენს და ალფანაფტილძმარმჟავის 3,5 პროცენტიან ხსნარის სპრინცით შეიცავს. ერთი ტონა კარტოფილის შესანახავად საკმარია 3 კილოგრამი აეთი ფხვნილი. ამ პრეპარატით კარტოფილის შენახვის ცდებს აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის აროდუქტების ტექნოლოგიის კათედრა ღიღნის კარტოფილსაცავში. კირქვეში შედგები მეტად საინტერესო და საიმედოა. იყენებენ სხვა პრეპარატებსაც.

მარცვლის სახელმწიფო რესურსების შენახვა უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა და იგი ჩვენს ქვეყანაში მინდობილი აქვთ პურპროდუქტების სამმართველოს მუშაკებს.

